ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲓᲐᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲐ
ᲗᲕᲘᲗ ᲛᲣᲨᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔᲐ.

ᲪᲐᲚᲙᲔ № 3 Კ.

ᲥᲐᲚᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲐᲜᲑᲠᲔᲕᲡ ᲐᲕᲢᲝᲠᲘᲢᲔᲢᲡ
ᲐᲛᲐᲕᲔ ᲓᲠᲝᲡ ᲐᲛᲣᲐᲠᲔᲑᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲡ.

მუშა

	1 წ.	6 თ.		3 თ.		1 თ.	
	მ.	მ.	ᲒᲐ.	ᲛᲐ.	ᲒᲐ.	მ.	ᲒᲐ.
თბილისში.	5	2	50	1	25	—	50
თბილ. გარ.	6	3	—	2	—	—	60
სხვდ. გარ.	10	5	—	3	50	—	1

ᲨᲘᲜᲐᲐᲠᲡᲘ:

1) ლექსი, ხმა ᲯᲣᲠᲜᲐᲚᲘᲓᲐᲜ. 2) წესიერება და უწესობა; რა არის ბურჟუაზიული წესიერება, რა არის ჩვენი უწესობა, ანარქია? 3) ახალი ამბები. 4) დეპეშები.

რედაქცია ღია (უქმეებს გარდა) დილის 10 ს.—2 ს.; საღამოს 5 ს.—7 საათ.

ᲐᲓᲠᲔᲡᲘ: თავად-აზნაურობის სახლი, სასახლის ქ., № 117.

№ 5 ᲨᲐᲑᲐᲗᲘ 10 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ 1906 წ. ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ № 5

ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

რედაქცია სთხოვს ყოველგან ყველა ამგზავნაგებს, თანა-მოაზრეებს და იმათ, ვინც თანაუგრძნობს გაზეთის მიმართულებას, გაუწიოს ენერგიული დახმარება: ეკონომიური და იდეიური კოოპერაცია გაზეთის გამოცემის საქმეს: საღამოების გამართვით, სპეკტაკლების დადგმით, და ხელის მოწერის გამართვით, რეფერატებით.

ვთხოვთ პროვინციაში გაფანტულ ამხანაგებს ხელი შეუწყონ გაზეთის გავრცელებას, მოგვაწოდონ წერილები და კორესპონდენციები.

ᲕᲗᲮᲝᲕ ᲩᲕᲔᲜ ᲐᲒᲔᲜᲢᲔᲑᲡ ᲞᲠᲝᲕᲘᲜᲪᲘᲔᲑᲨᲘ ᲤᲣᲚᲔᲑᲘ ᲧᲝᲕᲔᲚ ᲨᲐᲑᲐᲗᲝᲚᲔᲑᲘᲗ ᲕᲔᲘᲒᲖᲐᲕᲜᲔᲗ ᲗᲣ ᲡᲣᲠᲗ, ᲠᲝᲛ ᲨᲔᲛᲔᲓᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡᲐᲪ ᲛᲘᲘᲦᲚᲗ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ.

Ჩვენ მზად ვართ დავუთმოთ ჩვენი გაზეთის პატარა კალონები **მუშის**, მწარმოებლის მიერ გამოცხადებულ პროტესტს მჩაგვრელთა წინააღმდეგ და ამით ხელი შევუწყოთ მუშების დიად ბრძოლას სახელმწიფოსა და კაპიტალის წინააღმდეგ.

ᲮᲛᲐ ᲯᲣᲠᲜᲐᲚᲘᲓᲐᲜ.

აი სად ვმარხავთ ჩვენსა ძალ-ღონეს
გარეთ კი მზეა... ამშვენებს არეს...
მაგრამ ჭირს ლხინად გვიცვლის ნუგეში:
აქ ხალხის მტარვალს ვუთხრით სამარეს!...

ჩვენი გულისთქმა და სურვილები
გუნდრუკს უკმევენ მხოლოდ იმ მხარეს,
სადაც ჩვენებრივ შეუპოვარად
მტარვალისათვის სთხრიან სამარეს.

ვინც ბრძოლის ველზე გმირულად კვდება,
ჩვენ ობოლს გულში ვტოვებთ მის სახელს;
და არასოდეს არ გვავიწყდება,
რომ იგი მტარვალს უგებდა მახეს!..

ქებათა-ქება მებრძოლ მოძეძეს,
ჩვენი სალამი იმ ნეტარ მხარეს,
სადაც დღე-და-ღამ შეუსვენებლივ
მტარვალისათვის სთხრიან სამარეს.

აი სად ვმარხავთ ჩვენსა ძალ-ღონეს,
გარეთ კი მზეა, ამშვენებს არეს...
მაგრამ ჭირს ლხინათ გვიცვლის ნუგეში:—
აქ ხალხის მტარვალს ვუთხრით სამარეს!

მუშა-ქალი.

ᲬᲔᲡᲘᲔᲠᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲣᲬᲔᲡᲝᲑᲔᲑᲐ.

ᲬᲔᲡᲘᲔᲠᲔᲑᲐᲐ

ამბობს ბურჟუა, როდესაც ფაბრიკანტები და მემამულეები სცარცავენ მუშებს და გლეხებს.

ᲣᲬᲔᲡᲝᲑᲔᲑᲐᲐ

ამბობს იგივე ბურჟუა, როდესაც მუშები და გლეხები ცარცავენ ფაბრიკანტებს და მემამულეებს.

ᲬᲔᲡᲘᲔᲠᲔᲑᲐᲐ

ამბობს ბურჟუა, როდესაც ხალხის უმეტესი და უკეთესი მწარმოებელი ნაწილი სცხოვრობს ქარხნების ამყრალებულ ჰაერში დილიდან, გამოლვიძებიდგან მოკიდებული საღამომდის, დაძინებამდის და სძინავს სლხის სახურავებში, აშმორებულ, ნესტიან პადვლებში, დროს ატარებს ბინძურ და გამრყვნელ სამეკიტნოებში, სწავლობს არჩევნებში და ბურჟუაზიული მთავრობისაგან მოსყიდულ ჟურნალ-გაზეთებში.

ᲣᲬᲔᲡᲝᲑᲔᲑᲐᲐ

იძახის იგივე ბურჟუაზია, როდესაც ხალხის უკეთეს მწარმოებელთა უმეტესი ნაწილი თხოულობს ცხოვრების გაუმჯობესობას: ქარხნების გასუფთავებას მუშაობის პირობების გაუჯობესობას, სამუშაო დღის შემცირებას საცხოვრებელ ბინის მოწესრიგებას, გონიერ დროის ტარებას, სახალხო თავისუფალ უნივერსიტეტებს, უფასო სასწავლებელს, თავისუფალ სახალხო ბიბლიოტეკებს და ჟურნალ-გაზეთებს.

ᲬᲔᲡᲘᲔᲠᲔᲑᲐᲐ

ჰყვირის ბურჟუაზია, როდესაც მთელი მათი მოქმედება განხორციელებული უკუღმართობაა, როდესაც შრომის თავისუფლების მაგიერ მიგვცეს ყმებათ ქარხნებში, გაგვხადეს „ხაზეინების“ ყურ-მოკრილნ მებად, როდესაც მრეწველობის, წარმოების მოწყობის მაგიერ გაამეფეს კონკურენცია, რომელსაც მოჰყვა ეკონომიური ბრძოლა ერთის ყველას წინააღმდეგ, და ყველას ერთის წინააღმდეგ, რომელსაც თავის რიგზე მოჰყვა გადმეტებული წარმოება, ბაზრების გავსება საქონლით, შემდეგ ეკონომიური კრიზისები და ბოლოს ყველას საერთოდ კი მოჰყვა თავდაუტეხელი ყველა ერთი მხრის სასარგებლოდ და უკიდურესი სიღატაკე მეორე მხრით, როდესაც ხალხს დაპირდენ განათლიბას [illegible] ბის ყველა საშვალება, როდესაც ხალხს აღუთქვეს პოლიტიკური თავისუფლება და ჩააგდეს პოლიტიკურ მონობაში, როდესაც კაცობრიობას აღუთქვეს საყოველთავო მშვიდობა და ჩააგდეს საყოველთავო, განუწყვეტელ ომში, გახადეს შესაძლებელი ისეთი მდგომარეობა, რომელსაც ევროპის „შეიარაღებული მშვიდობიანობა“ ჰქვია.

ᲬᲔᲡᲘᲔᲠᲔᲑᲐᲐ

გულ ამოგლეჯილი ყვირის ბურჟუაზია, თუ ვინმემ დაიღმუილა მხეცივით: გაუმარჯოს სახელმწიფოსო, იმ სახელმწიფოს, რომელმაც მფარ-

ᲣᲬᲔᲡᲝᲑᲔᲑᲐᲐ

ღრიალებს ბურჟუაზია, როდესაც ანარქისტები ქადაგობენ საზოგადოებრივი უკუღმართობის მოსპობას, როდესაც ქადაგობენ შრომის განთავისუფლებას კაპიტალისაგან, როდესაც ქადაგობენ მწარმოებლის, მუშის განთავისუფლებას მეპატრონესაგან, როდესაც მრეწველობის და წარმოების მოწყობას ამყარებენ თავისუფალ, ავტონომიურ ადამიანთა თავისუფალ კავშირებზე, ასსოციაციებზე, როდესაც ანარქისტები მიუთითებენ ხალხს ერთი მხრით ᲑᲣᲠᲯᲣᲐᲖᲘᲣᲚ-ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲣᲠ ᲢᲘᲣᲠᲐᲚᲖᲔ, ზედ-მეტ-წარმოებაზე, და მეორე მხრით კი უჩვენებენ ხალხს შეუსამამობას ზედ-მეტ წარმოებისა და ამავე დროს ბობას ისეთი მწარმოებლისას, რომლებიც ამზადებენ მთელი ქვეყნის [illegible] ვალების და მთელი ქვეყნის ბუხრებისთვის ურიცხვ ქვა-ნახშირს, რომლებიც მიუხედავად იმისა, რომ თვით არიან შემქნელი ამოდენა სიმდიდრისა, სიცივით ცახცახებენ სუსხიან ზამთარში შიშვლები დაწრწიან ქუჩაში და შიმშილით კვდებიან თავიანთ ცოლ-შვილთან ერთად სიღატაკისაგან აწიოკებულ სოროებში; როდესაც ერთი მხრით ბურჟუაზია ჰყვირის ნაწარმოებით ბაზრების ავსებაზე და მეორე მხრით კი წინააღმდეგ ამისა ანარქისტები უჩვენებენ მთელი ქვეყნისთვის უთვალავ არშინობით ფართეულობის მწარმოებელ მუშაზე, რომელსაც ამავე დროს თავის შიშველ-ტიტველი ბავშვებისათვის პერანგიც-კი ვერ უშოვნია, მთელი ქვეყნისთვის სახლების ამშენებელ კალატოზზე, რომელსაც თავისთვის ქოხიც კი ვერ აუშენებია, მთელი ქვეყნის ტიკინებისთვის, როსკიპებისთვის მშვენიერ, მდიდრულ ტანისამოსების დამშზადებელ ხელოსან ქალებზე, რომლებსაც ამავე დროს მკბენარა სიცივეში თავზე ვერ დაუხურავს და სხეული ვერ დაუფარავს მურდალი, გარყვნილი ბურჟუა თვალისაგან.

ᲣᲬᲔᲡᲝᲑᲔᲑᲐᲐ

იძახის იგივე ბურჟუაზია, მაშინ, როდესაც ანარქისტები ებრძვიან და ანგრევენ მტარვალ, ყოველგვარ სახელმწიფოს, იბრძვიან მძლავრების

ველობის დაპირებით მოახერხა გამ-
ხდარიყო ბურჯი და მფარველი
მძლავრებისა სუსტების წინააღმდეგ,
მდიდრების მფარველი ლატაკების
წინააღმდეგ, კაპიტალის და მეპატ-
რონის მფარველი შრომის და მუ-
შის წინააღმდეგ, რომელმაც ხელის
შეშლის მაგიერ პირ იქით ხელი-შე-
უწყო კაპიტალისტს მუშის გაყვლე-
ფაში, მემამულეს გლეხის დაჩაგვრა-
ში, რომელმაც ყველას თავისუფ-
ლების განსახორციელებლად თვით
მითვისა ყველა თავისუფლება, ყვე-
ლას თანასწორობისათვის ყველას
წაართვა უფლება და გაასწორა
უუფლებობაში, ყველა ნივთიერ გა-
თანასწორებისათვის ყველა გაკარ-
ცვა, ყველას განვითარება-განათლე-
ბის მაგიერ, ყველა გონებრივად და
ზნეობრივად დასცა და გაასწორა
უვიცობაში.

წესიერება

ამბობს ბურჟუაზია მაშინ, როდე-
საც მოსყიდულ ჟურნალ-გაზეთები
ჰყვირიან პატრიოტიზმზე, ნაციონა-
ლურ შოვინიზმზე ქადაგობენ სა-
ხალხთაშორისო ომებზე აქებ-ადიდე-
ბენ ბურჟუაზიულ გარყვნილებას,
ბურჟუაზიულ ოჯახის წუმპეს კაპი-
ტალისტურ კარცვა-გლეჯას. მათ
[illegible]
ვარლების ტანთსაცმელებს, მუშების
ბედნიერ ცხოვრებას ბურჟუაზიის
წყალობით.

წესიერება

ამბობენ ბურჟუები, როდესაც
ახალთაობას რყვნიან ბავშვობიდან:
ასწავლიან პატარა ბავშვებს სათამა-
შოების საშუალებით, როგორ უნდა
მოიკლას ადამიანი, აცმევენ ბავშვებს
სალდათების ტანისამოსს ჰკიდებენ
გვერდზე ხის ხმალს და ასწავლიან,
როგორ უნდა მოჰკლას ინგლისელი,
იაპონელი ან თათარი, რომლებიც
საძულელნი არიან იმიტომ, რომ
არ არიან ჩვენები; წესიერებაა, რო-
დესაც შემდეგ ამისა, როდესაც ბავ-
შვი წამოიზრდება ასწავლონ მას
მთავრობის უტყვი მორჩილება და
როდესაც ამათ შეუსრულდებათ 21
წელი, მაშინ წესიერად და ლაზა-
თიანად დაჭვირთონ როგორც პირ-
უტყვი თოფით, პატრონებით, ხმლით,
ხანჯლით, რევოლვერით და არბე-
ნიონ გიჟივით მინდვრებში და ქუ-
ჩებში, აყლაპვინონ ყაზარმის გაფუ-
ქებული ჰაერი; რისთვის? რისთვის
და იმისთვის, რომ პირველ ბრძანე-
ბაზე დაერიონ მშვიდობიან სუსტ
მეზობლებს და დახოცონ რასაც მო-
ასწრობენ, რასაც ვერ მოასწრობენ
ისინი-კი დაუმორჩილონ ყმად თავის
მთავრობას: მეორე ბრძანებაზედ-კი
წინააღმდეგ სუსტების რაზმებში ჩამ-
დგარი, ებრძვიან კაპიტალს შრომის
სასარგებლოდ, მეპატრონეს მუშის
სასარგებლოდ, მდიდრების ღალა-
ტობის და მდიდრობის მოსასპობლად;
ებრძვიან სახელმწიფოს, რომელმაც
ხელი შეუწყო პროლეტარიატის
გაყვლეფას ბურჟუაზიისაგან, მემა-
მულისაგან გლეხის დაბეჩავებას;
ებრძვიან სახელმწიფოს, რომელიც
გამხდარა ყველაფერი პარაზიტ-მე-
პატრონისათვის—ყველაფერი მუშა-
პროლეტარის წინააღმდეგ; ებრძვის
ბურჟუაზულ აღზრდას, რომელიც
რყვნის ჯერ ბავშვობისას ოჯახში
შემდეგ ჰაბუკობისას სასწავლებელ-
ში, ებრძვის ეკლესიას რომლის და-
ნიშნულება გონების დაბნელებაში
შესდგება, ებრძვის კანონს რომლის
პირდაპირი დანიშნულება შესდგება
აზრის თავისუფლების მოსპობაში,
ეკონომიური თავისუფლების შეზ-
ღუდვა-მოსპობაში, კერძო საკუთრე-
ბის განმტკიცებაში, სოლიდარობის,
თანაზიარობის გარყვნაში და უსა-
მართლობის გამეფებაში.

უწესოება

ყვირის იგივე ბურჟუაზია, როდე-
საც ანარქისტები სწერენ თავისუფ-
ლად, აზროვნებენ თავისუფლად,
უარყოფენ თავიანთ ნაწერებში სა-
ხალხთაშორისო ომს გარედ, უარ-
ჰყოფენ სოციალურ ომს შიგნით,
სწერენ რაღაც თავისუფალ სიყვა-
რულზე და აძაგებენ ბურჟუაზი-
[illegible]
ლებას, აღვიძებენ ჩათვლემილ მო-
ნას.

უწესოება

ჰყვირიან ბურჟუები, როდესაც
ანარ. ქადაგობენ ომს ომის წინააღ-
მდეგ და ,,სამხედრო შერჩევა'' მიაჩ-
ნიათ ყოველად უგვან შერჩევად სხვა
სოციალურ შერჩევებთა შორის; უწე-
სოებაა მათთვის ის ანარქისტული შე-
ხედულება რომლითაც მილიტარიზმი
არის ნამდვილი ხოლერა ადამიანთა
ჯიშის განვითარებისთვის, რადგან
მხედრობისთვის არჩევენ ისეთ ახალ-
გაზრდებს, რომლებიც გულმოდგი-
ნეთ გასინჯვის, გაზომვის შემდეგ
საუკეთესო აგებულობის გამოდგე-
ბიან, რომლებსაც სიადვილით შეეძ-
ლებათ სამხედრო ტანჯვა - წვალე-
ბის გადატანა და მაშასადამე, რომ-
ლებიც შეადგენენ კაცობრიულ ჯი-
შის საუკეთესო ნაწილს, რის გამო
ცხადია რომ რამოდენად ახალ-გაზ-
რდა მაგარი აგებულობის, ალი,
ლონიერი, გამძლე და ჯან მრთე-
ლია, იმოდენად მეტია მისთვის
მოსალოდნელი ომში სიკვდილი;
უწესოებაა ჰყვირიან ისინი მაშინ,
როდესაც ანარქისტები ამბობენ,
რომ იმის მაგიერ, რომ ეს საუკე-
თესო ნაწილი კაცობრიობის იზრდე-
ბოდეს თავისუფლად იზრდება ყაზარ-
უნდა დაერიენენ ერთი მეორეს და
დახოცონ ისე, როგორც ხოცვიდენ
ერთმანეთს რომის დამონებული
გლადიატორები; მესამე ბრძანებაზე
დაერიენენ მშვიდობიან მოქალაქეთ,
რომელთაც მოსურვებიათ თავისუფ-
ლების ჰაერით ამოსუნთქვა და და-
ხოცონ, და ქლიტონ ასეთი კადნი-
ერებისათვის.

წესიერება

ამბობს ბურჟუა მაშინ, როდესაც
ერთი მხრით მთელი მიწები მოგ-
როვებულია რამოდენიმე მეპატრო-
ნის ხელში მეორე მხრით-კი
მთელი ჯარი მშიერი გლეხების მუ-
შაობენ ცარიელი მუცლით მეპატ-
რონეთა გაუმაძღარი დანაიოსის ბო-
ჩკის ასავსებათ, მაგრამ მეპატრონის
უფსკერო ბოჩკის ავსება ცარიელი
მუცლის პატრონი გლეხისაგან შეუძ-
ლებელია, იწყება განუწყვეტელი
აჯანყება მემამულეების წინააღმდეგ:
დაღმდება თუ არა, ავარდება ცეცა-
ხლის ალი რომელიმე მემამულის
ბეღლზე. დაიწყებენ ხოცვას ბატო-
ნების ჯოგისას, თვალ უწვდენელი
ყანების, ვენახების განადგურებას...

წესიერება

ამბობს ბურჟუა, როდესაც ხალ-
ხი თავის უფლებებს გადასცემს ამორ-
ჩეულ, ღირსებულ პირებს, როდე-
საც მოგცემთ ჩვენ ამორჩეულ კაცებს
უფლებას შეთითხნონ კანონები რომ-
ლებსაც ამორჩეულები უნდა დაემორ-
ჩილონ, რომლითაც ამორჩეულებს
ეძლევათ უფლება მოაწყონ ყვე-
ლაფერი რაც ჩვენთვის ძვირფასი
და საყვარელია: მოიხმარონ, რო-
გორც ესურვებათ ჩვენი შვილე-
ბი, ჩვენი შრომა, მუშაობა უფლე-
ბა, ნიკი, ქონება და ყველაფერი,
რომლებსაც არჩევის შემდეგ აქვთ
უფლება თოფი გვესროლოს, მთარა-
ხები გვირტყას ისე, როგორც ძვე-
ლი მთავრობა შერებოდა, ჩაკეტოს
ჩვენი შვილები სამი, ერთი, ხუთი
ან რამოდენიმე ხნითაც უნდა, კა-
ზარმებში ჩახოცოს, გაულიტოს ომებ-
ში, შინ და გარეც, რომლებიც შეა-
მოსებიან რა იმ უფლებით, რომლიც
მისგან მოტეტეებულ ხალხს ჭქონდა,
აკრძალინებს ხალხის, როგორ-ორ უნდა
უფლების დამობა, რადგან ადამია-
ნის უფლება თუ არსებობს, ის ისევ
ადამიანთან უნდა არსებობდეს, ხალ-
ხის უფლება თუ არსებობს, ისევ
ხალხთან უნდა არსებობდეს, მაგრამ
ადამიანიც და ხალხიც არ უნდა
მის გათახსირებულ ჰაეში, სამხე-
რო, ყაზარმულ გონების გამათახ-
რებელ დისციპლინაში, [illegible]
მათ გონებრივად და ზნეობრივ-
სკარცავს და უტოვებს [illegible]
სხეულს, რის გამო ის ხდება [illegible]
ნელი პირუტყვი იარაღი [illegible]
ყვებული ბურჟუაზიის და [illegible]
მთავრობის ხელში კერძო [illegible]
რების და მონობის რეჟიმის [illegible]
ცველად; უწესოებაა ჰყვირის ბურ-
აზია, როდესაც ამის შემდეგ სახალ-
შორისო ანტიმილიტარისტი ანარ-
ტები თავიანთ ანტიმილიტარისტ-
დროშას აწერენ:

„არც ერთი კაცი
არც ერთი კაპეიკი.
მილიტარიზმისათვის“

უწესოება

ჰყვირიან ბურჟუები, როდე-
ესმით ქადაგება, რომელშიდაც ან-
ქისტები უხსნიან გლეხებს, [illegible]
უწინ მიწა ეკუთვნოდა კომუნ-
თემებს, რომლებიც მიწის მუ-
ბისაგან შესდგებოდნენ და რომ-
საც თვით მიწის მუშა აწარმოებ-
მაგრამ გაჩნდენ მატყუარები, [illegible]
ლები მყვლეფელები და მიწა [illegible]
მოაცალეს მიწის მუშას, რომელ-
დაუტოვეს მუშაობის თავისუფ-
ბა, მაგრამ მუშაობა და თ-
ჰაერზე ან წყალზე არ შეიძ-
ბოდა, ამიტომ მიწის მუშა [illegible]
ლებული შეიქმნა მიეყიდა მ-
ობის თავისუფლება მეპატრონ-
თვის, მემამულისათვის.

უწესოება.

ანარქიაა ღრიალებს ბურჟუა-
და ბანს ეუბნება სოციალდემოკ-
ტიას, როდესაც ანარქისტები ებ-
ვიან პარლამენტარიზმს, რომ-
თაც ბურჟუაზია და სოც.-დემოკ-
ტია ატყუებენ პროლეტარიატს [illegible]
გლეხობას; უწესოებაა იძახიან ის-
ნი, როდესაც ანარქისტები ქადაგ-
ბენ კანონის წინააღმდეგ, რა-
გან პარლამენტის წარმოება, შესდგ-
ბა კანონების წარმოებაში—პარლ-
მენტი ქარხანაა კანონების, და უწ-
სოებაა კანონების წინააღმდეგ ბ-
ძოლა, რადგან პარლამენტი უკანო-
ნოდ ისე არ შეიძლება, როგორც
ქარხანა უსაქონლოდ; უწესოებაა
ამბობენ ისინი პირდაპირი ბრძოლ-
პროლეტარიატის კაპიტალისტების და
სახელმწიფოს წინააღმდეგ კერძო ან
საერთო გფიცებებით, რევოლიუ-
ციით, რადგან ამით საზოგადებრივი
მყუდროება კაპიტალისტების ირღვ-
ვა და ემატება მუშების და გლეხ-
ბის ისედაც, კარგა ხანია მას აქვთ,
დარღვეულ მყუდროებას; უწესოებაა
მათი სიტყვით, როდესაც ანარქის-
ტებს პარლამენტილიზმი თავისი არჩე-
ვნებით მიაჩნიათ პოლიტიკურ დ სო-
ციალურ გარყვნილებით, იმიტომ
რომ ანაქისტებისთვის ცხადია უკ-

იყენენ ცნობილი სანდოთ და უფლება უნდა გადასცენ ამორჩეულთ, რომლებიც შეიქმნებიან თუ არა ბრძანებლები აქვთ უფლება მოექცნენ ისე როგორც უნდათ იმ მილიარდებს, რომლებიც ღატაკების კისრიდგან არიან აღებული, მოიხმარონ ისე, როგორც სურთ, რომლებსაც ამორჩევის შემდეგ აქვთ უფლება დანიშნონ ისეთი აღმასრულებელი კომიტეტი, რომელსაც მეფეზედ მეტი უფლება აქვს, რომელსაც 200,000 „ჩინოვნიკი“ და ბიუროკრატი ჰყავს, მაშინ როდესაც თვით მპყრობელ მტავალებს 10 ან 20 ათასი ბიუროკრატი და „ჩინოვნიკები“ ჰყავდა: წესიერებაა აირჩიონ ისეთი რომლებიც ირჩევენ მინისტრებს: ისევ თავიანთ შორის დღეს ერთს, ხვალ მეორეს ,ზეგ ისევ პირველს, შემდეგ ისევ მეორეს და ასე რიგობით; წესიერებაა, როდესაც ეს მინისტრები მეფური უფლებით აღჭურვილნი ხელოვნურად ბირჟაზე ფასების აწევით ხელად მილლიონებს ჩაჯიბავენ.

წესიერებაა

გაიძახის ბურჟუა, როდესაც სახლები ალში და კვამლში არიან გახვეულნი, სახრჩობელაზედ ჩამოკიდული სხეულებით აღმართულია, ჭილოტინა მოქმედებაშია, ჰორიზონტზე, ცეცხლის ალი მოჩანს, ისმის გულის გამგმირავი კვნესა და სიბრაზის ძახილი

უწესლოებაა

ღრიალებს იგივე ბურჟუაზია, და სოც. დემოკრ. როდესაც ანარქისტები ებრძვიან კერძო და სახელმწიფოებრივ საკუთრებას, ოჯახს, მთავრობას, რომლებიც ყველა ერთად არიან დაუშრეტელი წყაროება შურის, სიძულვილის, სიბრაზის ძალ მომრეობის და ზნეობრივი გარყვნილების.

რა არის ბურჟუაზიული წესიერება?

მათი წესიერება არის ურიცხვი შუშა ძალის გაყვლეფა ფაბრიკებში, ქარხნებში, მადნების მაღაროებში, იმისთვის, რომ მუშა მუდამ მწარმოებელი, მუდამ მშიერ-მწყურვალი, შიშველ-ტიტველი იყოს, თვით ბურჟუაზია კი არასოდეს არაფრის შემქნელი, არაფრის მწარმოებელი სცხოვრობდეს ფუფუნებაში და ფლანგვიდეს მუშის ნაწარმოებს უსაზღვრო გარყვნილებაში ქვენა, დაბალი ვნებათა დაკმაყოფილებაში, აი რა არის მათი ,,წესიერება''. მათი წესიერებაა, ადამიანთა მეტინაწილის ისეთი დამონება, რომლითაც დაჩაგრულთ არ შეუძლიათ ისარგებლონ მეცნიერებით, ხელოვნებით, თვით ცხოვრებით, იმ სიმდიდრით, რომელიც შეჰქმნეს სხვისთვის და თვით კი სულთქვამენ ტანჯვით და ვაებით, არ შეუძლიათ იფიქრონ იმაზე, რაზედაც თავისუფალი ადამიანი უნდა ფიქრობდეს, არ შეუძლიანთ იცხოვრონ ისე, როგორც შეფერის თავისუფალ ადამიანს, აი მათი ,,წესიერება''!

რა არის ჩვენი უწესლოება, ანარქია?

ჩვენი „უწესლობა“, ანარქია არის დანგრევა დამპალი, დახავსებული საზოგადოებრივი შენობის დამარხვა მომაკვდავი, ძველი საზოგადოების, აჯანყება, ბრძოლა აჯანყებულ, მებრძოლ ხალხთან ერთად იმ ჯაქვების დასამსხვრევათ, რომლითაც მთავრობამ ყველა დროისა შებოჭა დამონებული კაცობრიობა, ის კაცობრიობა, ის ხალხი რომელიც ქვევიდან ზევით აწვება მტარვალობის ტ ამგვრის აღმართში; ჩვენი „უწესლობაა“ გაღვიძება ხალხის მუშის, გლეხის შეგნების, არა თუ მხოლოდ თვითმპყრობელობის წინააღმდეგ, არამედ პარლამენტარიზმის, ამ ბურჟუაზულ ცხოვრების პოლიტიკური ფორმის წინააღმდეგ; ჩვენი „უწესლობაა“ ყველა ის რაც კი უმეტესად ღირებულია განთავისუფლებული კაცობრიობრისათვის, ადამიანის ისტორიაში;ჩვენი „უწესლობა“ და ანარქია არის აჯანყება სარწმუნოებრივი ავტორიტეტის მიერ დამონებული აზრის, გონების; აჯანყება პოლიტიკური ავტორიტეტების მიერ პოლიტიკურად დამონებული ადამიანური არსების, აჯანყება პროლეტარიატის და გლეხობის ეკონომიურ ავტორიტეტის, მჩაგვრელის მიერ ნივთიერად და ჩაგრულ ადამიანის, იმ ადამიანის, რომელიც თავის უნებურად მოსულა ამ ქვეყნად მაგრამ მიუხედავად ამისა, მას ხდიან პასუხის მგებელს სხვისი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაში; ჩვენი „უწესლობაა“ აყვავება მეცნიერების, ხელოვნების გაბედულ აღმოჩენათა, ფილოსოფიური ტ მეცნიერულ კითხვების თავისუფალი დაყენება და გადაწყვეტა; უწესლობაა ბურჟუასთვის ჩვენი ცდა მონობის მოსპობის ადამიანის ცხოვრების ყველა სოციალურ ხარეებში; ჩვენი „უწესლობაა“ ბურჟუაზიის აზრით 1848 წელი, რომელიც ბაკუნინის სიტყვით თუ ვიტყვით, იყო ის მომენტი ისტორიაში, რომელმაც ორმოციანი წლების რადიკალიზმი დამთავრებულად აღიარა და დაიწყო ახალი მართლა რევოლიუციონური ხანა, ხანა რომელიც შეიძლება დახასიათდეს მუშათა სოციალიზმის ეპოქის სახელით, იმ ეპოქის, რომელშიაც მზადდება უზარმაზარი სოციალური მოვლენა, რომელსაც დიდი, სოციალური რევოლიუცია ჰქვია, რომელსაც უნდა მოჰყვეს სოციალური პრომეთეოსის —პროლეტარიატის და გლეხობის —განთავისუფლება და დაქცევა მტარვალურ ძალა პარნასისა, რევოლიუცია, რომელიც წარმოადგენს ძალით დანგრევას თვით ბურჟუაზიული საზოგადოებისა. როგორც ერთ დროში თვით ბურჟუაზია წარმოადგენდა ძალითვე დაქცევას გარყვნილი არისტოკრატიისას, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ჩვენ არავართ ისეთი სისხლის წყურვილით შეპყრობილნი მხეცები, როგორც მაშინდელი და დღევანდელი ბურჟუაზია, არამედ გვინდა არა ადამიანების განადგურება არამედ ყველა ავტორიტარულ მთავრულ, ბურჟუაზიულ დაწესებულების განადგურება, დაწესებრლებების, რომლებმაც დაჰკარგეს თავისი მნიშვნელობა, რადგან შეეფერებიან ძველ შინაარს საზოგადოებრივი ცხოვრებისას და ახალი საზოგადოება კი მოითხოვს ახალ ფორმას; უწესლობაა გვიძახიან ჩვენ, როდესაც ყველა ამის შემდეგ ვეუბნებით ბურჟუაზიას, რომ თუ ის დაემორჩილება პროგრესს და არ სურს რეაქციის ტიტული დაიმსახუროს ისტორიაში, მაშინ მას მხოლოდ ის დარჩენია, რომ ლამაზად და რაც შეიძლება ადრე მოიკლას თავი, მოკვდეს ისტორიულად, წინააღმდეგ შემთხვევაში ვაი მას, თუ სიბრთხილე დაავიწყდა და თავისი პირად ინტერესები შესწირა კლასობრივ ინტერესებს, რომლებსაც ისტორიამ სიკვდილი მიუსაჯა, ვაი მას, თუ დაავიწყდა თავის გარდა ყველაფერი, რადგან მაშინ მისი მეხსიერების განმაახლებელი შეიქმნება აჯანყებული სახალხო სამართალი, უკანასკნელი სოციალური განსჯა-განკითხვის დღე, რომელიც აღარ შეარჩენს მას არც ერთ ნამ-

---

ოდ ეგვეითება; მაგათი წესია სიღარიბე, შიმშილი სიცივე ანტიგიგიენური ცსოვრებისაგან, როგორც ერთი მხრით ისე მეორე მხრით, როგორც სიმდიდრით ისე სიღარიბით, წარმომდგარი ავათმყოფობა, გარყვნილების სენი და ყოველგვარი ჭირი.

აი მაგათი „წესი“! მაგათი წესია ირლანდიელი გაყვლეფილი გლეხი, რუსეთის დამშეული „გარუზგილი“ გლეხობა, საქართველოს გადამწვარი და განადგურებული გლეხობა, იტალიის ხალხი, რომელიც სტოვებს თავის მშვენიერ ქვეყანას და გარბის მაინც არ იცის სად, პურის უქონლობით დამშეული მუშა, გლეხი და უზარმაზარი დაუმუშავებელი მიწები, ბავშვი რომელიც გადაგვარებას დასდგომია, ქარხანაში მისთვის აუტანელ მუშაობით ძალა-გამოლეული, ქალი ქარხანაში თითქმის უფასო და ხანგრძლივი მუშაობით ძუძუ-გამშრალი, მუშა, რომლის აჯანყების სული თან და თან იზრდება საზოგადოებრივ უსამართლობასთან ერთად, მუშა, რომლის აჯანყების ში‌ში და ტანჯული აჩრდილი დასდევს და მოსვენებას არ აძლევს კაპიტალისტს, როგორც ბანკოს აჩრდილი მაკბეტს. აი მათი „წესიერება!“

ეგ... წესიერებაა ისეთი აღზრდა თავიანთი შვილებ..., რომლითაც ესენი ითვისებენ მამა-პაპურ გაიძვერაობას, მოტყუების ნიჭს უზარმაზარ მადას, გარყვნილებას, ელეტა-ხოცვის სიყვარულს, რათა უფრო ადვილად შესძლონ დაჩაგრულთა დაჩაგვრა; აი მათი „წესიერება“.

მათი წესიერებაა ომი კაცი-კაცის წინააღმდეგ, ცოლის ქმრის წინააღმდეგ, მამის შვილის წინააღმდეგ, ძმის ძმის წინააღმდეგ, ჯგუფის ჯგუფის წინააღმდეგ, კლასსის კლასსის წინააღმდეგ, ეროვნების ეროვნების წინააღმდეგ; მათი „წესიერებაა“ ტრანსვაალის, რუსეთ იაპონიის ომები, ათი-ათასობით და ასი ათასობით დასახიჩრებული გვამები. აი მათი „წესიერება“! ბურჟუაზიის წესია მადნების მაღაროებში და მანქანებით ათასობით და ათიათასობით ცოცხლად დამარხული და დასახიჩრებული მუშები თავისი ღიპის-გაუმაძღრობის მიზეზით, მათი წესია აჯანყებული მუშების დახოცვა, პარიზის კომმუნის დროს 40,000 კაცი, ქალი და ბავშვების დახოცვა, მოსკოვის ადამიანთა საყასბო, ხაჟართველოს აწიოკება, ქალების გაუპატიურება, საუკეთესო ახალ-გაზრდობის ცოცხლად საპყრობილეში დალპობა, ,,კატორგაში'' დამარხვა, აი მათი ,,წესიერება''!

წესიერებაა.

ამბობენ სოც.-დემოკრატები —სოციალისტური მთავრობა, სახელმწიფო, დისციპლინა, ყაზარმული სათნოება, სოციალისტური კანონი, დღეს ბურჟუაზიული რეჟიმის სამსახური ხვალ სოციალიზმის დასამყარებლად, მარქსის ავტორიტეტის თაყვანის ცემა, მისი სახელით ფიცი, ცენტრალიზმი, პარლამენტარული ბიუროკრატიზმი, პიროვნების დამორჩილება და გათქვეფა, მასსის გალმერთება, ნაციების დაჩაგვრა დღეს-ხვალ ინტერნაციონალიზმის დასამყარებლად, სოციალური რეფორმა რევოლიუციის მოსახდენად.

აი მათი „წესიერება“!

ცეცს იმ პრივილეგიებისას, რომლების უკანასკნელმა წამმა დაჭკრა. აი ჩვენი „უწესოება“!

უწესოებაა

ღრიალებს სოც.-დემოკრატია, როცა ანარქისტები უარჰყოფენ ცენტრალიზმს, რომელიც ლაპლასმა დაარღვია და დააქცია ასტრონომიაში, ლაპლასმა, რომლის სიტყვით ქვეყანა არის ისეთი სირგვლე, რომელსაც ცენტრი ყოველგან აქვს, ე. ი. არსად და წრე არსად; უწესოებაა მათთვინ, როდესაც ვამბობთ ჩვენ, რომ ძირითადი ქიმიურ მოვლენების არის ატომები რომლებიც განსაზღვრავენ რთულს, ძირითადი ევოლიუციაში არის სადედგან ელემენტარულიდგან რთულზე გადასვლა, ბიოლოგიაში ინდივიდები, რომლების ცვლას ჯიშის ცვლა მოჰყვება, მთელ მსოფლიოში ისეთი ვითარება, რომლითაც საგნები ისე არიან დალაგებულნი სივრცეში, როგორც მათი ბუნება მოითხოვს, სოციალოგიაში ისეთი ვითარება, რომლითაც თვითეული ადამიანი ცენტრია ატომია და მაშასადამე არავითარი ცენტრალიზმი ფაქტიურად არ არსებობს, გარდა იმ ფაქტიური მოვლენისა, რომლითაც ყველა თვით-მპყრობელობა: არისტოკრატიული, ბურჟუაზიული სოც.-დემოკრატიული, ეწინააღმდეგება ნამდვილ ბუნებას ისტორიისას, პროგრესისას; უწესოებაა მათი აზრით აღორძინების ხანა, რომელიც იყო ავტორიტეტის უარის ყოფის ხანა; უწესოებაა გალილეი, დეკარტი ფრ. ბაკონი, ჯ. ბრუნო, კამპანელა ლორდიეერულამისა, თომა მორუსი, ფურერი, კოპერნიკი, ოუვენი და სხვა უწინდელ დროში—დარვინი, სპენსერი,მილლი,მ.გუიო,ტოლსტოი, შტირნერი, პრუდონი, ბაკუნინი, კროპოტკინი, რეკლიუ, ოკტავ მირბო და სხვა ეხლანდელ დროში, უწესოებაა მათი აზრით მთელი პროგრესი, რომელიც უარის ყოფაა ავტორიტეტის. აი ჩვენი „უწესოება“! უწესოებაა მათი აზრით, კაცობრიულ ისტორიაში საუკეთესო მომენტები ბრძოლისა კაცობრიობის მომავლისათვის, მონობისაგან განთავისუფლებისათვის, ახალი იდეებისათვის, სახალხო გენიის გაღვიძებისათვის, თავისუფალ შემოქმედებისათვის წარმოებისათვის ცხოვრების ყველა დარგში, კეთილშობილურ ენებათა აღყვავებისათვის—ადამიანთა კაცობრიობის განთავისუფლებისათვის.

აი ჩვენი „უწესოება“.

ალი-უსუფ ჯანდაბელი.

ახალი ამბავი

— ნახალოვკაში ჩამოუხრჩეია თავი თბილისის მთავარ სახელოსნოების მუშა კადკოვნიკოვს. დაუტოვებია შემდეგი შინაარსის წერილი. მიზეზი ჩემის თავის ჩამოხრჩობისა რაც უნდა იყოს სულ ერთია, მაგრამ თუნდაც ესე იყოს, რომ მე მსურდა გამეგო თუ რა მდგომარეობაში არიან ბიუროკრატები.

— კახეთში, თელავის მაზრაში, წინანდალში, ურიათ უბანში, იყალთოში და სხვ. სოციალ-დემოკრატების ხელმძღვანელობით გაუმართავთ მიტინგები და დემონსტრაციები თელავის მაზრაში საუფლისწულო მამულების მუშები გაფიცულან. დაუდგენიათ ეკონომიური მოთხოვნილებანი.

— თბილისის თავად-აზნაურთა ქართველ-მოსწავლეთა დამხმარებელმა საზოგადოებამ დაადგინა 8 ივნისს კრებაზე, რომ თბილისის სათავად აზნაურო სასწავლებელში მოსამზადებელს კლასებში და პირველს ორ კლასში ყველა საგნები უნდა ისწავლებოდეს მომავალის წლიდან ქართულად ენაზე. საზოგადოება განაგრძობს კრებას 9 ივნისსაც.

— გუშინ კრება ჰქონდა თბილისს ამომრჩეველთა ბიუროს. ბიუროს განიხილა თანამედროვე ცხოვრების საჭირ—ვარამო საკითხები. მაგალითად როგორც სომეხ-თათართა დავაა და უკანასკნელ დროს გახშირებული თავ-დასხმაა. კრებამ გამოიტანა ამაზე გარკვეული რეზოლიუცია და შეუდგა სხვა საკითხების გარჩევას.

დეპეშები

(პეტერბურგის დეპეშები სააგენტო).

—

სევასტოპოლი, 8 ივნისი. ციხის არტილერიის მეორე ბატალიონი არ უერთდება მეამბოხეებს. პირველ ბატალიონის ნაწილმა დაიკავა მონაპირე ბატარეები. არეულობის ქალაქში გადატანის ცდამ უნაყოფოთ ჩაიარა. სამხედრო ძალის მიერ მიღებულმა ზომებმა, ფლოტისა და ქვეითა ჯარის გადაჭრილმა უარმა მეამბოხეთა წინადადებაზედ შემოგვიერთდითო, აიძულეს მეამბოხენი დაეტოვებინათ სიმაგრეები და დაბრუნებულიყვნენ კაზარმებში. მეორე ბატალიონს ჯარმა ღამით ალყა შემოარტყა, როცა მისი უდანაშაულობა გამოირკვა განთავისუფლებულ იქმნა.

პეტერბურგი. ოფიციალურ... მოქვეყნდა ბალტიის მხარეში ... ლებლებში ადგილობრივ ... სწავლა. გაზეთებში გამოცხადებ... ლი ამბავი კრონშტანტში აღ... ბის შესახებ, ვითომ გარნიზონი... ტერბურგიდან მისულ ტარის... წილს სროლით მიეგება სიმ... მოკლებულია. გაზეთის ცნობ... თომ ნაღმიან გემ. „ალბატ... ყარაულებად სემიონოვის ... ლკის სალდათები იდგნენ ... გონილია. ყველა ცნობები ... ლობის შესახებ სიმართლეს მ... ბულია.

სათათბიროს წევრის ულიანი... საქმე გადადებულ იქმნა სხვა დ... ისთვის.

პეტერბურგი. კატოლიკების ... ლესიის მოძღვარ ჩეჩოტს თავს დ... ნენ სამი ყმაწვილი კაცი სტუ... ტურ ტანისამოსში გამოწყობ... და გაძარცვეს.

ოდესა. სამხედრო სასამართ... დახვრეტა მიუსაჯა ჩეჩკინს, ... ბეევს, მანგანს და გეტტას მაღ... ზე ... ...